ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4679815

ნომერი: AR1707790

თარიღი : 19.09.2019

გაცემის თარიღი : 27.09.2019

გაცნობის თარიღი : 28.10.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, სტრაბონის ქუჩა, N 36;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე ნებიერიძე პ/ნ 01025004422
- თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 10 ბ. 123

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1707790 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, სტრაბონის ქუჩა #36 საკ. კოდზე #01.72.14.040.703; მშენებლობის ნებართვის გაცემას და ითხოვთ .

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2019 წლის 30 ივლისის # 4602914 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელი

დიღომი, დიდი დიღომი, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი # 01.72.14.040.703), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხდარა, ასევე გაცნობეთ, რომ სამსახურში ამ ეტაპზე მშენებლობის ნებათვის გაცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის(www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თქვენი მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით 2019 წლის 30 ივლისის #4602914 ბრძანების ასლს თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

ამასთან გაცნობებთ, რომ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 4 ლარის და 50 თეთრის ოდენობით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან (სივრცე #4), შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
დანართი: 90 ფურცელი
1.მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2.მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3.ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6.გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი 4 ლ. და 50 თ.(#AR1707790 19.09.2019წ.)

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge